პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 227 (4221)

1970 წ. 19 ნოემბერი. ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## საიუბილეო ტურნირი

17 ნოემბერს შედგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ტურნირის II ტურის მატჩები.

თბილისის „დინამოს" დუბლიორებმა გორში ანგარიშით 2:1 სძლიეს საქართველოს პირველობის მოთამაშეთაგან დაკომპლექტებულ მეორე ნაკრებს.

რუსთავში ფრედ (0:0) ითამაშეს საქართველოს პირველობის მოთამაშეთაგან შემდგარმა პირველმა ნაკრებმა და „იმედის" ფეხბურთელთა გუნდმა.

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „ბ" კლასის პირველი და მეორე გუნდები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა მეორე ნაკრებმა.

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### ამინდიც სწყალობდათ

■

[illegible]

მურმანსკი, 17 ნოემბერი. გასული კვირა-დღე მურმანსკში თბილი, თოვლიანი, მზიანი და, როგორც უკვე ტრადიციად იქცა, სპორტული იყო. შესანიშნავი დარი იდგა და ქალაქგარეთ, სადაც „პირველი ნათხილამურევის" პრიზზე ტრადიციული შეჯიბრება გაიმართა, ათი ათასობით მშრომელი გაემართა.

ოქტომბრის რაიონის ზღვაოსნებთან, მშენებლებთან, მეთევზეებთან, გემშემკეთებლებთან ერთად სტარტზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებისა და გდრ-ის ახალგაზრდული გუნდის მრბოლელები, რომლებიც ამჟამად საბჭოთა იმიერპოლარეთში იმყოფებიან.

ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის ყველას აჯობეს საზღვაო მეთევზეთა ნავსადგურის მოთხილამურე ვაჟებმა და „შრომითი რეზერვების" მეგობრულმა ქალთა გუნდმა.

მურმანსკის საცურაო აუზში იმ დღეს სამი ქვეყნის სახელმწიფო ალმები ფრიალებდა. აქ ტარდებოდა სამატჩო შეხვედრა ნორვეგიის ჩრდილოეთ პროვინციების, ფინეთისა და მურმანსკის ოლქის მოცურავეთა შორის.

კვირას ჩატარდა ფრენბურთელთა მასობრივი შეჯიბრებებიც. „ტრუდის" სპორტის სასახლეში მურმანსკის 34 საუკეთესო გუნდი იბრძოდა პრიზებისთვის ტრადიციულ ახალგაზრდულ ტურნირში.

• • •

ზამთრის სეზონი გახსნეს მურმანსკის ოლქის სპორტსმენებმაც. მაგალითად, კიროვსკში ადგილობრივ გუნდებთან ერთად პირველი სტარტი აიღეს აქ საწვრთნელად მყოფმა ლატვიელმა, აგრეთვე, კალინინის, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქების მოთხილამურეებმა.

ზამთრის პირველი პრიზი გაითამაშა ჰოკეისტთა 16 გუნდმაც. ეს ჯილდო გამამდიდრებელი ფაბრიკის სპორტსმენებს ხვდათ.



ვოლგოგრადი, 17 ნოემბერი. რუსეთის ფედერაციის ძალოსანთა აქ დამთავრებულ ჩემპიონატში შესანიშნავად გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონი, 28 წლის ვ. ალექსეევი (ზემძიმე წონა). მან 220,5 კგ აჰიმა, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია. მსოფლიოს მეორე რეკორდი ალექსეევმა დაამყარა აკვრაში — 228 კგ!

საინტერესოა, რომ ალექსეევმა წლეულს 17-ჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდები.

• • •

სურათზე: ვ. ალექსეევი.

## ტექნიკამ უღალატა

კაუნასი, 17 ნოემბერი. სსრ კავშირის მოკრივეთა ჩემპიონატმა თავის ეკვატორს მიაღწია: 5 წონითი კატეგორიის წარმომადგენლებს, რომლებმაც წინადღით გაიკვლიეს მეოთხედფინალის გზა, დღეს კიდევ 3 წონითი კატეგორიის — მეორე უმჩატესი, ქვემსუბუქი და პირველი ქვესაშუალო წონების მოკრივეები შეემატნენ.

ქვეყნის უძლიერეს 8 მოკრივეს შორის მოხვედრა მართლაც ერთობ ძნელია. გათამაშების მიღმა უკვე აღმოჩნდნენ ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან მოსკოველები ვ. გრანიჩნიკოვი და ა. სამოილოვი (პირველი ქვესაშუალო წონა), ნოვოკუზნეცკელი ვ. სომოვი (მძიმე), ყაზახეთის სამგზის ჩემპიონი ბ. კოშევინი (ქვემსუბუქი), კიეველი ვ. ლებო (პირველი საშუალო), მოსკოვის ჩემპიონი ბ. მინიკაევი (მსუბუქი). დღეს ჩემპიონატს გამოეთიშნენ შარშანდელ ახალგაზრდულ საკავშირო პირველობაში გამარჯვებული, ტაშკენტელი ა. ლი (მეორე უმჩატესი წონა), რომელმაც წააგო ბრძოლა არმიელ ნ. ნოვიკოვთან, და ამ წონაში სსრ კავშირის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი ი. ვიალჩენკო (გროდნო). იგი დამარცხდა ოდესელ ლ. ბუგაევსკისთან.

ცხადია, ყოველ წაგებას შეიძლება რაღაც გამართლება მოვუძებნოთ, მაგრამ ამჯერად ყველა „უიღბლოს" ტექნიკამ უღალატა.







თბილისის ცირკში გუშინწინ შედგა ჩვენი დედაქალაქისა და დონის როსტოვის მოკრივეთა ამხანაგური მატჩი. გამარჯვება მასპინძელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს — 8:8.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა თბილისელი პირველთანრიგოსნის ვ. მურადაშვილის შეხვედრა სპორტის ოსტატ ა. კუზმინთან. მიუხედავად იმისა, რომ როსტოველი თავის მეტოქესთან შედარებით ბევრად გამოცდილი იყო, გამარჯვება მეორე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაისაკუთრა მურადაშვილმა.

ჩვენი კორესპონდენტის სურათებზე აღბეჭდილია ამ დაძაბული ბრძოლის ფინალი. აი, თბილისელი მოკრივის უძლიერესი დარტყმის შემდეგ კუზმინი იატაკზე აღმოჩნდა, რეფერი ანგარიშს ხსნის; ათი წამი გადის, მაგრამ როსტოველმა ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო; ლამაზი გამარჯვებაა!

ბ. ქვათაძის ფოტო.

ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 19 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 41 | 26 | 9 | 6 | 84—52 | 61 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 41 | 25 | 9 | 7 | 86—35 | 59 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 41 | 23 | 13 | 5 | 83—40 | 59 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 40 | 24 | 8 | 8 | 72—38 | 56 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 41 | 19 | 12 | 10 | 66—43 | 50 |
| „სინათლე" (თბილისი) | 40 | 17 | 15 | 8 | 70—44 | 49 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 41 | 19 | 10 | 12 | 58—41 | 48 |
| „ისანი" (თბილისი) | 42 | 14 | 19 | 9 | 47—39 | 47 |
| „მზიური" (გალი) | 41 | 11 | 20 | 10 | 47—43 | 42 |
| „სამცხე" (აწყური) | 39 | 13 | 16 | 10 | 41—40 | 42 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 41 | 15 | 12 | 14 | 55—65 | 42 |
| ასკ (თბილისი) | 42 | 16 | 9 | 17 | 48—53 | 41 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 41 | 13 | 14 | 14 | 57—57 | 40 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 41 | 12 | 13 | 16 | 48—43 | 37 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 41 | 10 | 16 | 15 | 45—64 | 36 |
| „ფარავნელი" (გარდაბანი) | 42 | 10 | 14 | 18 | 39—52 | 34 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 40 | 9 | 15 | 16 | 28—49 | 33 |
| „ციხკარი" (ჰალნალი) | 41 | 8 | 14 | 19 | 28—50 | 30 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 41 | 5 | 18 | 18 | 43—73 | 28 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 40 | 7 | 8 | 25 | 39—74 | 22 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 40 | 6 | 10 | 24 | 44—81 | 22 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 41 | 5 | 10 | 26 | 44—96 | 20 |

## ცნობები უცხოეთიდან

გლაზგო, 17 ნოემბერი. მეოთხედი საუკუნის შემდეგ დღეს აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ადგილობრივი „გლაზგო რეინჯერსი" და მოსკოვის „დინამო". საბჭოთა გუნდში უწინდელი მატჩის მხოლოდ ერთი მონაწილეღა დარჩა — „დინამოს" ამჟამინდელი მწვრთნელი კ. ბესკოვი, რომელსაც 18 ნოემბერს 50 წელი უსრულდება.

შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა (1945 წელს თამაში ფრედ დამთავრდა — 2:2). ეს ერთადერთი ბურთი 22-ე წუთზე გაიტანა ჯონსტონმა.

ლონდონი, 17 ნოემბერი. 32 წლის ბ. ჩარლტონი, რომელმაც 106-ჯერ ითამაშა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში, მწვრთნელმა ა. რამსეიმ არ შეიყვანა იმ 22 ფეხბურთელის სიაში, რომელთაც 25 ნოემბერს „უემბლის" სტადიონზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ გუნდთან მოუწევთ შეხვედრა.

— მომავალ მატჩში რამსეი რაც შეიძლება მეტ ახალბედას აძლევს მონაწილეობის საშუალებას, — განუცხადა ჩარლტონმა ჟურნალისტებს. — მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ეს ჩემი საფეხბურთო კარიერის დასასრულია.

ნაკრების სიაში მხოლოდ 13 ფეხბურთელი მოხვდა იმ შემადგენლობიდან, რომელიც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში თამაშობდა.

ბრიუსელი, 17 ნოემბერი. ფიფა-მ თავის აქ გამართულ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ს. როუზი, გადაწყვიტა მომავალ სხდომამდე (1971 წლის 6 იანვარი, ათენი) გადადოს 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილე გუნდების რიცხობრივი შემადგენლობის განსაზღვრა.

ჯერჯერობით ფიფა-ს მისამართით შემოსულია რეკომენდაციები 73 ეროვნული ფედერაციიდან. აქ ასეთი ვარიანტებია: ფინალში დარჩეს 16 ნაკრები; ფინალის მონაწილე გუნდების რიცხვი გაიზარდოს 24-მდე და 32-მდეც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება

СПАРТАКИАДА V НАРОДОВ СССР

# ლიანა ცქიტიშვილი — რესპუბლიკის რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი

რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე გრძელდება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს ეძღვნება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების, აგრეთვე, სპორტკლუბების „უშბისა" და „განთიადის" ნაკრები გუნდები. პროგრამაში 12 სახეობა შედის.

ექვს სახეობაში ასპარეზობა უკვე დამთავრდა, გამოვლინდნენ პირად და გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი. შეჯიბრებამ ცხადყო, რომ პროფკავშირთა ბევრ რესპუბლიკურ კომიტეტს დარგობრივი სპარტაკიადები მაღალ დონეზე გაუმართავს და ძლიერი გუნდები დაუკომპლექტებია. ახლა ამ კომიტეტების წარმომადგენლები გადამწყვეტ შეხვედრებში კარგი მაჩვენებლებით გამოდიან. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპარტაკიადამ ბევრი ხარვეზიც გამოავლინა.

საქართველოს პროფსაბჭომ პროფკავშირის ყველა იმ რესპუბლიკურ კომიტეტს, რომლებსაც მომსახურებას „განთიადი" უწევს, დაავალა სპარტაკიადაში აქტიური მონაწილეობა მიეღო, რათა ამით ცენტრალურ საბჭოს ნიჭიერ ათლეტთა შერჩევის საშუალება მისცემოდა. მიუხედავად ამისა, ქიმიური და ნავთობის მრეწველობის (თავმჯდომარე გ. პოლოლიკაშვილი), ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის (გ. გელაშვილი) მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა ღონისძიებისადმი უპატივცემული გულგრილობა გამოიჩინეს. სპარტაკიადის საზეიმო გახსნაზე ამ კავშირების არც ერთი სპორტსმენი, არც ერთი წარმომადგენელი არ გამოცხადდა. სარბიელზე მათ არაორგანიზებული, მოუმზადებელი გუნდები გამოიყვანეს. ქიმიკოსების კალათბურთელ ქალთა გუნდმა სამანდატო კომისია გაიარა, საასპარეზოდ კი აღარ გამოცხადდა — რუსთავიდან თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლო (!). ქიმიური მრეწველობის კომიტეტს ველოსიპედისტთა ტურნირში ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის გუნდით უნდა ესასპარეზა. შეჯიბრების მონაწილენი ჩამოვიდნენ, მაგრამ მათ პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის არც ერთი წარმომადგენელი არ შეხვედრიათ. სპორტსმენთა დასვენებისთვის, ვარჯიშისთვის, სარბიელზე გამოყვანისთვის არავინ იზრუნა და ბათუმელებიც დაბალ შედეგებს დასჯერდნენ.

სპარტაკიადამ სხვა ნაკლიც გამოავლინა. მაგალითად, მეტალურგიული მრეწველობის კალათბურთელ ვაჟთა გუნდში ბურევესტნიკელი ო. ზაცარნი ათამაშეს. ეს მსაჯთა კოლეგიას შეუმჩნეველი არ დარჩენია და მანქანათმშენებლობის პროფკავშირის კოლექტივთან ამ გუნდის შეხვედრის შედეგი გააუქმა. ამ მატჩის შედეგი არც მანქანათმშენებლებს ჩაეთვალათ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის წარმომადგენლის ა. მაჩაიძის ხულიგნობის გამო.

კარგი შედეგები მოიპოვეს ტყვიის მსროლელებმა, რომლებიც თბილისში დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ტირში ასპარეზობდნენ. სპორტის ტექნიკური სახეობების საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორს ლიანა ცქიტიშვილს (საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირი) მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლაში დაძაბული ბრძოლა გაუმართა ვ. აკოფოვმა (მანქანათმშენებლობის პროფკავშირი). ცქიტიშვილმა პირველი 10 გასროლით 99 ქულა მოაგროვა, აკოფოვმა — 98. მეორე სერიაში ორივემ პირვანდელი მაჩვენებლები გაიმეორა. ცქიტიშვილი (მწვრთნელი გ. ბოსტოღანაშვილი) სხვა სერიებშიც ამავე შედეგებით ასპარეზობდა, საბოლოოდ 600-დან 594 ქულა აჩვენა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ცქიტიშვილმა ქულით გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც ს. ზასკოს ეკუთვნოდა.

აკოფოვი მესამე და მეექვსე სერიებში უშეცდომოდ ისროდა, მაგრამ 593 ქულას დასჯერდა და II ადგილი დაიკავა, თუმცა, ისიც სპორტის ოსტატი გახდა.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში საქართველოს ჩემპიონი, განთიადელი სპორტის ოსტატი ე. აბაჯიანი (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი პ. ლეკიშვილი) უკონკურსოდ გამოდიოდა. მან 573 ქულა მოაგროვა და გაიმეორა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც 1960 წლიდან თბილისის დინამოელ შ. ქველიაშვილს ეკუთვნის. სპარტაკიადაში გამარჯვება აკოფოვს ხვდა — 559 ქულა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე 30 გასროლაში შეჯიბრება მოიგო ვ. მეგრელიშვილმა (საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირი) — 257 ქულა. ამავე იარაღით მრგვალ სამიზნეებზე და სილუეტებზე სროლაში იმარჯვა რ. პროზოროვამ (მანქანათმშენებლობა) — 551.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, 2. მანქანათმშენებლობის, 3. ელექტრომრეწველობის პროფკავშირები.

კალათბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში 10 გუნდი ჩაება. მონაწილენი ორ ჯგუფად დაიყვნენ. ჯგუფებში გამარჯვებულებმა ფინალში I-II ადგილები გაითამაშეს, II ადგილზე გასულებმა — III-IV და ა. შ. I ჯგუფში „უშბისა" და მანქანათმშენებელთა გუნდებს 3-3 მოგება ჰქონდათ, მაგრამ ამ კოლექტივების მატჩში მანქანათმშენებლებმა იმარჯვეს (58:56) და ფინალში ისინი შეხვდნენ სპორტკლუბ „განთიადს". მატჩიც (63:49) და I ადგილიც „განთიადის" გუნდმა მოიგო. III ადგილისთვის ბრძოლაში ელსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სპორტსმენებმა სძლიეს „უშბას" — 88:71.

ქალთა ტურნირის სარბიელზე (8 გუნდი გამოდიოდა) ჯგუფებში წარმატება „უშბასა" და ელექტრომრეწველებს ხვდათ. უშბელებმა ვაჟთა დამარცხებისთვის რევანში (71:28) აიღეს. III ადგილზე გავიდნენ ქვანახშირის მრეწველობის წარმომადგენლები, რომლებმაც მეტალურგებს სძლიეს — 48:45.

ხელბურთში ადგილები ასე განაწილდა: ვაჟები. მეტალურგიული მრეწველობის კავშირი, სპორტკლუბი „განთიადი", მშენებლობისა და საშენ მასალათა წარმოების მუშაკთა კავშირი; ქალები. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა, ქიმიური და ნავთობის მრეწველობის კავშირები.

ქართულ ჭიდაობაში მოასპარეზე გუნდების მომზადების დონე უთანაბრო იყო, რასაც ბევრი წმინდა მოგება ადასტურებს — 52 შეხვედრა ვადამდე დამთავრდა. ერთ ხანს სარეკორდო შედეგი ჰქონდა საშუალო წონის მოჭიდავე გ. ახალაურს (ელექტრომრეწველობა), რომელმაც მეორე წრის შეხვედრა ო. ხვადაგიანთან (ქვანახშირის მრეწველობა) 6 წამში დაამთავრა. მალე ეს შედეგი გააუმჯობესა ქვემძიმე წონის ათლეტმა ლ. თედიაშვილმა (ხე-ტყის მრეწველობა), რომელმაც 5 წამში დაამარცხა ო. ბერიაშვილი (მეტალურგიული მრეწველობა).

ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეთა ტურნირში გამარჯვებულმა გ. პატაშვილმა (მანქანათმშენებლობა) 4 შეხვედრიდან სამი წმინდად მოიგო, ხოლო ერთი — აშკარა უპირატესობით. პატაშვილს ლ. ქავთარაძის (ელექტრომრეწველობა), ზ. მუსალიევისა (ქიმიური მრეწველობა) და რ. მჭედლიძის (მეტალურგიული მრეწველობა) დამარცხებისთვის საერთო ჯამში სულ 2 წუთი და 45 წამი დასჭირდა. მჩატე წონის ათლეტმა შ. მელაძემ (მსუბუქი მრეწველობა) 2 წუთსა და 10 წამში დაამარცხა ასევე სამი მეტოქე — მ. ფანცულაია (მანქანათმშენებლობა), რ. ხანიაშვილი („უშბა") და ა. ოდიშვილი (ელექტრომრეწველობა).

სხვა წონებში გაიმარჯვეს: ო. ქელეხსაშვილმა (ხე-ტყის მრეწველობა), თ. ბულოხაშვილმა (მეტალურგიული მრეწველობა), ზ. დორეულმა (ქიმიური მრეწველობა), დ. თედეევმა (ხე-ტყის მრეწველობა) და დ. გურგენიძემ (ელექტრომრეწველობა).

გუნდური პირველობა საფეიქრო მრეწველობის პროფკავშირის ნაკრებმა მოიგო (21 საჯარიმო ქულა). II ადგილზეა ელექტრომრეწველობის (31) კავშირის გუნდი, III — მეტალურგიული მრეწველობის (33) კავშირის კოლექტივი.

მძლეოსანთა შეჯიბრებამ (ტურნირი რუსთავში გაიმართა) სახარბიელო სურათი ვერ გვიჩვენა. მაგალითად, 4×100 მეტრზე ქალთა ესტაფეტაში გამარჯვებულმა მეტალურგებმა მოზარდთა II თანრიგის შედეგი აჩვენეს (57,2), ხე-ტყისა და მანქანათმშენებლობის პროფკავშირების გუნდებმა კი დისტანციის გარბენას 1.05,7 მოანდომეს. ვ. კრავჩუკს (მშენებლობა) 1500 მეტრზე 5.43,0 დასჭირდა, რაც არავითარ თანრიგს არ შეესაბამება. გ. ლორთქიფანიძემ (მანქანათმშენებლობა) ბადრო 25 მეტრზე ძლივს ტყორცნა. ა. პავლენკო (ხე-ტყის მრეწველობა) 478 სმ სიგრძეზე გადახტა. ასევე დაბალია გამარჯვებული ს. სინკოვის (მეტალურგიული მრეწველობა) შედეგი — 595 სმ.

დავასახელებთ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომლებმაც II თანრიგის შედეგები მოიპოვეს.

ქალები. შუბის ტყორცნა. თ. ვაკსეევა (საფეიქრო მრეწველობა) — 42,10; ბადროს ტყორცნა. ქ. კახიშვილი (მეტალურგიული მრეწველობა) — 41,30; ბირთვის კვრა. ლ. პავლოვა (სპორტკლუბი „განთიადი") — 12,86, კახიშვილი — 12,03. ვაჟები. რბენა. 100 მ. ა. კიკალეიშვილი (მანქანათმშენებლობა) — 11,3; 200 მ. ა. სპივაკოვსკი — 23,7; 800 და 1500 მ. ვ. ნესტერენკო (ორივე — მეტალურგიული მრეწველობა) — 2.02,2 და 4.18,2, ბადროს ტყორცნა და ბირთვის კვრა. ვ. ტარანი („უშბა") — 47,60 და 13,83.

გუნდური პირველობა მოიგეს მეტალურგებმა. II ადგილზეა საფეიქრო მრეწველობის კავშირის გუნდი, III — ელექტრომრეწველობის კავშირის ნაკრები.

გუშინწინ ველოსიპედისტთა შეჯიბრებაც დამთავრდა. რბოლა თბილისის ზღვის ირგვლივ მოწყობილ ტრასაზე გაიმართა. პირველი დღე 50 კილომეტრზე გუნდურ ასპარეზობას დაეთმო (გუნდების შემადგენლობაში 4-4 სპორტსმენი იყო) და პირველობა ფეიქართა კავშირის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს — 1:15.48. II ადგილზე გავიდა მანქანათმშენებლობის პროფკავშირის კოლექტივი (1:16.33), რომელსაც 2 წამით ჩამორჩნენ მეტალურგები. ხე-ტყის მრეწველობის ველოსიპედისტები სარბიელზე არ გამოსულან.

მეორე დღეს ჩატარდა 75 კილომეტრზე ჯგუფური რბოლა საერთო სტარტით. ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაში 3-3 მონაწილის შედეგი შედიოდა. პირადი საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდათ სპორტის ოსტატებს ი. კრასავცევს (მშენებლობის მუშაკთა კავშირი — 1:50.22), ს. გრიშკევიჩსა (მსუბუქი მრეწველობა — 1:52.55) და ვ. კეზბას (მეტალურგიული მრეწველობა — 1:53.00). გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს მშენებლებმა. მსუბუქი და მეტალურგიული მრეწველობის კავშირების გუნდები მომდევნო ადგილებზე არიან.

საერთო გუნდური პირველობა საფეიქრო მრეწველობის ველოსიპედისტებმა მოიგეს. II ადგილზე არიან მეტალურგები, III — მშენებლები.

სპარტაკიადა გრძელდება.

რ. მაღრაძე.

• • •



სურათზე: ლ. ცქიტიშვილი სერიებს შორის შესვენების დროს.
ო. გელაშვილის ფოტო.

# ათას რვაასი მონაწილე

თბილისის კიროვის რაიონის საწარმოთა კოლექტივების სპარტაკიადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, შაში, ჭადრაკი, ტყვიის სროლა და კლასიკური ჭიდაობა. შეჯიბრებაში ჩაება 22 გუნდის 1800 სპორტსმენი. კარგად გამოვიდა საქტრიკოტაჟის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელმაც კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა. II ადგილზეა № 6 სამკერვალო ფაბრიკის გუნდი, III — ფაბრიკა „კომსომოლკას" ნაკრები.

მძლეოსნობაში საუკეთესო იყო ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკის კოლექტივი, ჭადრაკში — საქენერგოს გუნდი, შაშში — სოლოლაკის უსინათლოთა საზოგადოების ნაკრები. კლასიკურ ჭიდაობაში ყველას აჯობეს № 3 სამკერვალო ფაბრიკის სპორტსმენებმა. ტყვიის სროლაში, მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებებში ჩემპიონები გახდნენ საქტრიკოტაჟის წარმომადგენლები. კალათბურთელ ვაჟთა ტურნირში იმარჯვა № 6 სამკერვალო ფაბრიკის ნაკრებმა, ხოლო ფრენბურთში პირველნი იყვნენ კამოს სახელობის ქარხნის სპორტსმენები.

ზ. საქუაშვილი.

## რაიონებში სპარტაკიადა

**ГУРДЖААНИ** — **გურჯაანი**

ველისციხის № 13 სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის საბჭომ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიუძღვნა სპარტაკიადა. ფრენბურთში I ადგილზე გავიდა მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორთა XII ჯგუფის გუნდი, ფეხბურთში იმარჯვა მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორთა XV ჯგუფის კოლექტივმა. მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჯობა მძღოლთა III ჯგუფის მოსწავლე ა. კობიაშვილმა.

ა. ჯალაღონია,
ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

## „ლელო" წერილის კვალდაკვალ

# SOS!

ამ სათაურით „ლელოს" 15 აგვისტოსა და 16 სექტემბრის ნომრებში დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ სოფლების სკინდორის, ითხვისისა და დარკვეთის ახალგაზრდების ძალებით მოწყობილი საფეხბურთო მინდვრები გადახნეს და სხვა დანიშნულებისთვის გამოიყენეს.

ჭიათურის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ბარათაშვილი გვატყობინებს, რომ სკინდორში ფეხბურთის მინდორი 1967 წელს გადახნეს. რომლის სანაცვლოდაც ახალი სარბიელი მოეწყო. სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობა თანახმაა, რომ მეორე მინდვრისთვის მიწის ნაკვეთი გამოყოს.

რაც შეეხება დარკვეთს, იქ ფეხბურთის მინდორი კი არა, სათიბი გადაუხნავთ. ზოდის სასოფლო საბჭოსა და დარკვეთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელების ინიციატივით ამჟამად მინდორი ეწყობა.

ახალი მინდორი ითხვისშიც მოეწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა ჩვენგანის პატრიოტული ვალი

ქართულმა კალათბურთმა დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში. მან ბევრჯერ ასახელა ჩვენი მამული და განუზომელი ამაგი დასდო მთელს საბჭოთა კალათბურთს. ამ წვლილის, ამაგის ნათელი გამომხატველია თბილისის „დინამო", რომელიც სხვადასხვა დროს იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, თასის მფლობელი და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ლაურეატიც. ახლანდელი გუნდის რამდენიმე წევრი ამ გამარჯვებების უშუალო მოწმეა, ხოლო ისინი, ვინც ასაკის გამო ჩამოსცილდა კალათბურთს და სხვადასხვა სფეროში საქმიანობს, დღესაც არანაკლები ინტერესით ადევნებს თვალს საყვარელი გუნდის საქმეებს და გულთან ახლოს მიაქვს მისი ყოველი წარმატება თუ წარუმატებლობა.

ამ გუნდის წევრებს მუდამ მოწინავე ადგილი ეკავათ ჩვენი ქვეყნის საკალათბურთო ცხოვრების ყველაზე ძლევამოსილ რაზმში — სსრ კავშირის ნაკრებში. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ო. ქორქია და ნ. ჯორჯიკია. ისინი საბჭოთა კავშირის იმ ნაკრები გუნდის წევრები იყვნენ, რომელმაც საბჭოთა კალათბურთის დიდება პირველად გაიტანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ და წლების მანძილზე სახელოვნად იცავდა მას (ქორქია მთელი 10 წლის მანძილზე ნაკრების კაპიტანი იყო).

განა შეიძლება დავივიწყოთ მომდევნო თაობის დიდოსტატი გ. მინაშვილი, რომელიც მაღალი ტექნიკისა და სპორტული თავგანწირვის მაგალითი იყო მუდამ. მინაშვილს დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა ევროპაში და მსოფლიოს ბევრ მოწინავე საკალათბურთო ქვეყანაში. მისი მაორგანიზებელი ნიჭი და უნარი დღესაც სანატრელია, ვინაიდან იქ, სადაც მინაშვილი იყო, მუდამ წარმატების სული სუფევდა.

განა სასახელო არ არის, რომ, როდესაც საბჭოთა კალათბურთი მსოფლიოში უმაღლეს საფეხურზე ამოჩნდა, მის ღირსებას იცავდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ზ. საკანდელიძეც — პირველი ქართველი კალათბურთელი — მსოფლიო ჩემპიონი! ალბათ გახსოვთ, რომ უზადო ტექნიკისთვის საკანდელიძე ევროპის საუკეთესო მცველადაც კი დაასახელეს და მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

განა ცოტა რამ შესძინეს სამამულო კალათბურთს გ. ავალიშვილმა, ლ. ძეკონსკიმ, ა. მესხმა, ბ. სარქისოვმა, მ. ფილიპოვმა, მ. კეკელიძემ, ზ. მესხმა, ჯ. ნიჟარაძემ, შ. ქორქაშვილმა, ო. სულაბერიძემ, ლ. არდანაშვილმა, ლ. ინწკირველმა, ვ. ულენტმა, ა. კილაძემ და კიდევ ბევრმა სხვამ?..

სასიხარულო ფაქტია ჩვენი ქვეყნის ნაკრებში ახალგაზრდა ოსტატის, მ. ქორქიას გამოჩენაც, მაგრამ ამ კარგი მონაცემებით დაჯილდოებულმა სპორტსმენმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მოწინავეთა შორის ადგილის დაკავებას სჭირდება ბრძოლა, მეტი შრომა და სპორტული რეჟიმის მტკიცე დაცვა.

ზემოჩამოთვლილი წარმატებები ჩვენს კალათბურთში თავისთავად არ მოსულა. ამიტომაც, ვიმეორებ, ჩვენ გვყავდა შესანიშნავი წინაპრები — საბჭოთა კალათბურთის ფუძემდებლები, რომლებიც სასახელოდ იცავდნენ ეროვნული კალათბურთის ავტორიტეტს. გვყავდა შესანიშნავი გუნდები, რომელთა შორის პირველ ყოვლისა აღნიშვნის ღირსია ის, ვინც დასაბამი მისცა ქართულ კალათბურთს — „სინათლე" (აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ეროვნული კალათბურთის დიდი მოამაგე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე მ. ცხვედაძე).

თუ არ ვცდებით, ქართველი კალათბურთელები 1934 წლიდან ამშვენებენ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობას. ბევრი მათგანი შეიძლება გავიხსენო კიდეც: სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ფალავანდიშვილი, აწ გარდაცვლილი რ. მდივანი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე შ. ახვლედიანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ოგანეზოვი, სპორტის ოსტატები ა. ელენსკი, თ. ჩუბინიშვილი, ა. ლეჟავა, გ. აბაშიძე, ა. სხიერელი, ლ. მოსეშვილი...

ახლა რამდენიმე სიტყვა დღევანდელ დღეზე. განა შორეულ წარსულს ეკუთვნის „დინამოს" ბოლო წარმატებები? 1967 წელს არ იყო, რომ გუნდმა 13-წლიანი შესვენების შემდეგ გულშემატკივრებს დიდი ხნის ოცნება აუსრულა და სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა? განა შარშან არ გახდნენ დინამოელები სსრ კავშირის თასის მფლობელნი, საკავშირო ჩემპიონატში კი II საპრიზო ადგილი დაიკავეს და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალშიც გავიდნენ?

რა მოხდა მერე?

დღევანდელი „დინამო" (მხედველობაში მყავს გუნდი, რომელმაც ბოლო ჩემპიონატი წარუმატებლად დაამთავრა) თავისი შემადგენლობით ჩვენი ქვეყნის არც ერთ კლუბზე დაბლა არ დგას, მაგრამ მარტოოდენ გუნდის უნარი და პოტენციალი წარმატებისთვის არ კმარა. დღევანდელი კალათბურთი მოთამაშისგან დიდ ენერგიას, მაღალ ინდივიდუალურ ტექნიკურ ოსტატობასა და კოლექტიურ სულისკვეთებას მოითხოვს. წლევანდელმა საკავშირო პირველობამ კი გვიჩვენა, რომ დინამოელები სეზონს მოუმზადებელი შეხვდნენ. ეს მოუმზადებლობა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ნეაპოლის „ფიდესსთან" შეხვედრაში. „დინამო" ყველა რგოლში ჩამორჩებოდა მეტოქეს. გულახდილად რომ ვთქვათ, „ფიდესი" არც ისე ძლიერ მეტოქედ მოგვეჩვენა, მაგრამ ჩვენები სერიოზულად არ მოემზადნენ თამაშისთვის, გაზვიადეს საკუთარი შესაძლებლობანი და მწარედაც მოტყუვდნენ.

შეიძლება გუნდი კეთილსინდისიერად მოემზადოს ამა თუ იმ შეჯიბრებისთვის, საბრძოლველადაც იყოს განწყობილი, მაგრამ, თუ კოლექტივის წევრებს არ აკავშირებთ ურთიერთმეგობრობა, თუ კალათბურთელებს არა აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა და პატრიოტიზმი, ისინი სასურველ მიზანს ვერ მიაღწევენ. სპორტსმენს უნდა ახსოვდეს, რომ არც შინ და არც გარეთ იგი მარტო თავის თავს არ ეკუთვნის, მარტო არ არის, უნდა ახსოვდეს, რომ მის უკან დგას ერის სახელი და ავტორიტეტი, ჩვენი სახელოვანი წინაპრების ოფლით მოპოვებული დიდება.

უკანასკნელი პერიოდის წარუმატებლობათა ერთ-ერთ მიზეზად ის გარემოებაც მიმაჩნია, რომ ჩვენი საუკეთესო გუნდი თაობათა ცვლას განიცდის. ეს საკმაოდ მძიმე და მტკივნეული პროცესია და მას მეტად სათუთი მიდგომა სჭირდება. გუნდის ძირითადი ბირთვიდან, სულ ცოტა, 5 კალათბურთელი (ა. ლეჟავა, ა. სხიერელი, ვ. უგრეხელიძე, ლ. მოსეშვილი, ვ. ალთაბაევი) უკვე ვეტერანია. მათ, მართალია, ბევრი სარგებლობა მოაქვთ კოლექტივისთვის, მაგრამ ფიზიკური გამძლეობა, ცეცხლი და ტექნიკური ელემენტების უზადო შესრულების უნარი, რაც წარსულში უხვად ჰქონდათ, ამჟამად აკლიათ. სათადარიგოთა მერხზე კი, ერთი-ორის გარდა, ვერ ვხედავთ ისეთ ახალგაზრდებს, რომლებსაც ძალუძთ დიდი ტრადიციების გუნდის წევრთა შეცვლა.

თანამედროვე კალათბურთი უგიგანტებოდ წარმოუდგენელია. არც ამ მხრივაა დღესდღეობით ჩვენს გუნდში ყველაფერი რიგზე. ვეტერანებმა ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი კალათბურთისთვის. მათ დიდი წვლილი შეიტანეს იმ წარმატებებში, რითაც დღეს ყოველი ჩვენგანი ამაყობს, მაგრამ ყველაფერს, მათ შორის, სპორტულ კარიერასაც აქვს, სამწუხაროდ, თავისი დასასრული. გიგანტ ვეტერანთა ღირსეული შემცვლელნი ჯერჯერობით არ ჩანან. დააკვირდით საბჭოთა კალათბურთის წამყვან გუნდებს. ყველგან მთავარ დამრტყმელ ძალას სწორედ ცენტრალური თავდამსხმელები — გიგანტები წარმოადგენენ. ასეა, მაგალითად, ცსკა-ში (ანდრეევი), ლენინგრადის „სპარტაკში" (ბელოვი, ივანოვი), კიევის „სტროიტელში" (კოვალენკო, პოლივოდა) და სხვ.

რაშია საქმე? რატომ აღარ გვყავს სათადარიგოთა მერხზე პერსპექტიული სპორტსმენები? ნუთუ ნიჭიერი ახალგაზრდა კალათბურთელები აღარ არიან საქართველოში?

მე ასე ვიტყვი: ახალგაზრდები არიან და საკმაოდ ბლომადაც. გავიხედოთ უკან და წარუმატებლობის მიზეზებსაც მაშინვე მივაგნებთ. 5-10 წლის წინ ქართველ კალათბურთელთა მომავალი თაობის აღზრდას ემსახურებოდნენ ისეთი სახელოვანი პედაგოგები, როგორიც არიან თბილისში, მაგალითად, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები მ. კეკელიძე და შ. დიასამიძე. ბათუმის სპორტსკოლაში მუშაობდა უმწიკვლო ადამიანი, საუკეთესო სპეციალისტი და საქმის ენთუზიასტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ტ. ხერგიაშვილი. მე მგონი, ამ მხრივ არც ქუთაისს დაურღვევია ტრადიცია — სხვადასხვა წელს ამ ქალაქმა წამყვან გუნდებს ბევრი სახელმოხვეჭილი კალათბურთელი მისცა. მაშინ, როცა ზემოჩამოთვლილი სპეციალისტები ამ მეტად პასუხსაგებ უბანზე მოღვაწეობდნენ, შედეგებიც ბევრად უკეთესი იყო. ფაქტი ჯიუტია: თბილისისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდები წარსულში ხშირად იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და საპრიზო ადგილს მიღმა იშვიათად დარჩენილან. ბათუმის მოსწავლეთა ნაკრები რამდენიმეჯერ საქართველოს ჩემპიონი გახდა. ასევე მრავალჯერ უზეიმიათ გამარჯვება რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ქუთაისელ მოსწავლეებს.

ბოლო წლებში კი აშკარად დავთმეთ პოზიციები. უფრო მეტიც, 1969 წელს ერევანში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები IX ადგილზე გავიდა. ეს მეტად სავალალო და დამაფიქრებელი ამბავია. მე ვფიქრობ, თბილისის განათლების განყოფილების მოსწავლე კალათბურთელთა გუნდის ხელმძღვანელთა პროგრამა საქართველოს პირველობაში გამარჯვებით არ უნდა შემოიფარგლოს. ისინი უფრო შორს უნდა იყურებოდნენ, უფრო პერსპექტიულ გეგმებს უნდა ისახავდნენ.

ჩემი აზრით, თბილისში არსებული „დინამოს" სპორტსკოლაც, რომელმაც ჩვენს სახელოვან გუნდს რეზერვი უნდა მოუმზადოს, ძველებურად ვეღარ მუშაობს. დინამოელთა მერხზე კარგა ხანია არ გვინახავს მაღალკვალიფიციური საკუთარი კადრები, თუმცა ამის საშუალება მათ მუდამ ჰქონდათ და აქვთ.

ზემოჩამოთვლილი მწვრთნელები და კიდევ ბევრნი, რომლებიც ამ წერილში ვერ დავასახელე, დარწმუნებული ვარ, არ მუშაობდნენ სტანდარტულად (სასწავლო გეგმის გრაფიკით გამოყოფილი საათების მიხედვით). ისინი მოედანზე იყვნენ იმდენ ხანს, რამდენიც სპორტსმენის აღზრდისთვის იყო საჭირო. მათ ბევრი უძილო ღამეც გაუთევიათ და ბევრს ალბათ კიდევ გაათევენ. ასეა მუდამ, როცა გიყვარს შენი საქმე, როცა გიყვარს შენი მიწა, ქვეყანა...

მომავალი თაობის აღზრდა, თაობისა, რომელიც მოწოდებულია გააგრძელოს წინამორბედთა მდიდარი ტრადიციები, უნდა მიენდოს საქმის მცოდნე, ავტორიტეტულ და ენთუზიასტ სპეციალისტთა ჯგუფს, რომლის უპირველესი მიზანი იქნება არა ეკონომიური გამორჩენა, არამედ დიდი და სასარგებლო საქმის სამსახური. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ პირველ პერიოდში ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დაშვებული შეუმჩნეველი შეცდომები მთელი სიღრმით გამოაშკარავდება მისი ტექნიკური და ტაქტიკური სრულყოფის დროს. აღსაზრდელს უნდა სჯეროდეს და სწამდეს აღმზრდელის ყოველი სიტყვისა, აღმზრდელი კი, თავის მხრივ, უნდა იყოს სანიმუშო, როგორც პედაგოგი და როგორც ადამიანი. მწვრთნელი ბავშვებთან 5-7 წელიწადს სისტემატურად მუშაობს და ისიც ისეთ პერიოდში, როცა ყალიბდება მათი რწმენა, მსოფლმხედველობა. ბევრი არასწორ გზაზე მდგარი ბავშვის ფსიქიკა კარგ პედაგოგს სწორი მიმართულებით განუვითარებია. ცუდად არ გამიგოთ და არის შემთხვევები, როცა ბავშვს აღმზრდელი პედაგოგისა უფრო სჯერა, ვიდრე მშობლებისა. ყოფილა შემთხვევა, როცა ამა თუ იმ მშობელს სწორედ ასეთი ავტორიტეტული აღმზრდელისთვის მიუმართავს თხოვნით. ესაა, სხვათა შორის, ბავშვებში სპორტის სიყვარულის, მეგობრობის, პატივისცემის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და პატრიოტიზმის გამომუშავების მთავარი პირობა. აი, ასეთი გზით იზრდება საიმედო და პერსპექტიული ცვლა, იჭედება სახელოვანი გამარჯვებები.

უნდა მოგვარდეს ერთი მტკივნეული საკითხიც, რომელიც ძალიან უშლის ხელს სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებას და თვით სპორტსმენთა აღზრდასაც.

ჩვენში დიდ პატივს ვცემთ ნ. გაფრინდაშვილს, ნ. დუმბაძეს, ი. გოკიელს, მ. ჭუღელს, გ. კარტოზიას, ვ. ბალავაძეს, ბ. პაიჭაძეს, ო. ქორქიას, ნ. ჯორჯიკიას, თ. ფხაკაძეს, რ. შავლაყაძეს, რ. როურუას, ა. მეტრეველს, ზ. საკანდელიძეს და სხვა მოწინავე სპორტსმენებს, რომლებმაც დიდ შემოქმედებით მწვერვალებს მიაღწიეს სპორტში და ჩვენს ქვეყანას შორს გაუთქვეს სახელი. შეიძლება ასეც ვთქვათ: ამ სპორტსმენებმა თავიანთი დიდი შემოქმედებით ხალხს სპორტი შეაყვარეს.

ცნობილი რუსი რეჟისორი, საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დიდი მოამაგე კ. სტანისლავსკი ამბობდა: „არ არსებობს დიდი და პატარა როლი. არსებობს მხოლოდ დიდი და პატარა მსახიობი". ეს სიტყვები სპორტსაც შეიძლება შევუფარდოთ. არ არსებობს სპორტის მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო სახეობა, მხოლოდ სპორტსმენი შეიძლება იყოს დიდი ან პატარა, კარგი ან ცუდი. სამწუხაროდ, ჩვენში რატომღაც ხშირად ანსხვავებენ სპორტის სახეობებს და სპორტსმენებსაც აფასებენ, მათდამი ყურადღებას იჩენენ არა მათი შემოქმედებითი უნარის მიხედვით, არამედ იმის შესაბამისად, თუ რომელი სახეობის წარმომადგენლები არიან ისინი. მე, მაგალითად, მიყვარს ფეხბურთი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველა ფეხბურთელს ერთნაირად ვაფასებ. ტენდენციურ დამოკიდებულებას სპორტის სახეობებისადმი მარტო ჩვენს დედაქალაქში კი არა, რაიონებშიც ვხვდებით და შეიძლება უფრო მეტადაც. რაიონებში არ ჰგონიათ, ფეხბურთის გარდა თუ არსებობს სპორტის სახეობა. ასეა განსაკუთრებით ზაფხულობით. გულდასაწყვეტია, როცა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრებზე (მოჭიდავე იქნება, ველოსიპედისტი თუ კალათბურთელი) მეტი ავტორიტეტითა და ყურადღებით სარგებლობენ საშუალო, ან უფრო დაბალი კლასის ფეხბურთელები. ასეთი დამოკიდებულება გამოუსწორებელ ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს სპორტსმენს, რაც, თავის მხრივ, საყვარელი სახეობისადმი გულგრილ და ზერელე დამოკიდებულებას წარმოშობს.

მაშინ, როცა ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთი კრიტიკულ მდგომარეობაში მოექცა, სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის უინიციატივობა იმ ამბავთან დაკავშირებით, რომ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტულ ღონისძიებათა კალენდრით მარტში გათვალისწინებული პირველობა არ ჩატარდა. ვფიქრობ, ახლა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები კი არ უნდა შემცირდეს, პირიქით, ერთიორად უნდა გაიზარდოს. პერსპექტიული კადრები სწორედ შეჯიბრებებში იზრდებიან. ამ საკითხის გამო კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა საგანგებო ღონისძიება უნდა მიიღოს.

კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი: არც ერთი სპორტსაზოგადოება, გარდა „დინამოსი" და „ბურევესტნიკისა", არ ზრუნავს კალათბურთის წინსვლისთვის. სიტყვიერად ისინი შესაძლოა დაგვეთანხმონ კიდეც საკითხის სიმწვავეში, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, სულ სხვაგვარ პოზიციებს იკავებენ.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სპორტსაზოგადოებების ნაწილი გუნდებს მხოლოდ შეჯიბრებების წინ, რამდენიმე დღით ადრე აკომპლექტებს. მიზანი ცხადია — ღონისძიებაში მონაწილეობა. ამავე დროს, გუნდებს აკომპლექტებენ უპერსპექტივო კალათბურთელებით. ცხადია, ასეთი გუნდი შეჯიბრების შემდეგ იშლება, უკეთეს შემთხვევაში, მეორე გათამაშებამდე. ეს განსაკუთრებით გამოკვეთილად იგრძნობა რაიონებში.

ბოლო წლებში თბილისში რამდენიმე ახალი გუნდი შეიქმნა („უშბა", „სინათლე", „ლოკომოტივი"). მათი მონაწილეობა რესპუბლიკურ ჩემპიონატს უდავოდ აცოცხლებს, ინტერესს მატებს, მაგრამ იბადება კითხვა: რას გვაძლევს ეს? ჩემპიონატებს ხომ ახალ, მზარდ, პერსპექტიულ კალათბურთელთა გამოვლენის მიზნით ვატარებთ? სად უნდა მივაგნოთ მათ, როცა რესპუბლიკურ ტურნირებში უკვე ჩამოყალიბებული და, ცხადია, უპერსპექტივო კალათბურთელები თამაშობენ, ისინი, რომლებმაც კარგა ხანია დიდი კალათბურთის სარბიელი დატოვეს? იმავე კალათბურთის ინტერესებისთვის უმჯობესია სპორტსაზოგადოებებთან და კლუბებთან გაიხსნას ბავშვთა ჯგუფები, სადაც გაიზრდება, დაიხვეწება და დაოსტატდება ახალი თაობა. თანხა, რომელსაც ხელფასის სახით ამ გუნდებში გაერთიანებული, ერთ დროს სახელოვანი კალათბურთელები იღებენ, უნდა მოხმარდეს ქართული კალათბურთის ტრადიციების დამცველი ახალი კადრების აღზრდას.

ერთხელ ერთ-ერთი სპორტული საზოგადოების ხელმძღვანელებთან მქონდა საუბარი, ვთხოვე ბავშვთა ჯგუფები გაეხსნათ. ასე მიპასუხეს: ჯერ ერთი, ბავშვები როდის გაიზრდებიან და, მეორეც, ჩვენ ოსტატთა მომზადების გეგმები გვაქვს შესასრულებელი. ცხადია, მათ ამ მიზნით ჭიდაობის ჯგუფების გახსნა ერჩიათ. თითქმის ყველა საზოგადოებაში ასეა: იხსნება მოჭიდავეთა ჯგუფები, იზრდებიან ახალი კადრები და შედეგებიც, რა თქმა უნდა, თვალსაჩინოა.

მახსოვს, წარსულში სპორტსაზოგადოებებთან სკოლები იყო გახსნილი. თუ არ ვცდები, თბილისის „დინამოს" გარდა ახლა კალათბურთის სპეციალიზებული სკოლა არსად არის. ამ მხრივ მისასალმებელია საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელთა მიზანშეწონილი გადაწყვეტილება ქუთაისში ბავშვთა ჯგუფების გახსნის შესახებ. ამ დიდ ყურადღებასა და ნდობას უდავოდ გავამართლებთ და იმედს გამოვთქვამთ, რომ სასარგებლო თაოსნობას სხვა სპორტსაზოგადოებებიც დაუჭერენ მხარს.

თბილისის კალათბურთის ფედერაციის კარგი ინიციატივა იყო მინი-კალათბურთის დანერგვის იდეა. ჩვენ ამ გადაწყვეტილებას ყოველმხრივ ვუჭერთ მხარს, როგორც ახალგაზრდა ოსტატთა აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას. მაგრამ იდეა იდეად არ უნდა დარჩეს. საქმეს სჭირდება გაქანება, ენთუზიაზმი და, რაც მთავარია, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დარწმუნებული ვართ, ახალ საკავშირო ჩემპიონატში სახელოვანი ტრადიციების გუნდი — თბილისის „დინამო", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი სპორტსმენი და სპეციალისტი, სსრ კავშირის დამსახურებული ოსტატი და მწვრთნელი ო. ქორქია, კვლავ გაახარებს გულშემატკივრებს ცეცხლოვანი, გააზრებული, ლამაზი, კომბინაციური თამაშით, ქართულ კალათბურთს კი მისთვის ჩვეულ მოწინავე პოზიციებს დაუბრუნებს.

ბოლო წლებში სხვადასხვა მიზეზით ბავშვებს შორის მუშაობას ჩამოვცილდი. ახლა ჩემს პატრიოტულ ვალად მიმაჩნია კვლავ მონდომებით მოვკიდო ხელი ამ საქმეს.

ძვირფასო კოლეგებო! ქართულ კალათბურთს სჭირდება ახალი ქორქიები, ჯორჯიკიები, მინაშვილები და საკანდელიძეები. ეს მომავალი ჩვენს ხელთაა და, ვინაიდან ყველას ერთნაირად გვიყვარს კალათბურთი, ერთად დავიცვათ ეს უმდიდრესი და სახელოვანი ტრადიციები.

ს. თორთლაძე,
კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.
ქუთაისი.

# მოჭადრაკე, მწვრთნელი...



დასახულ მიზანს რომ მიაღწიო კაცმა, ერთხელვე არჩეულ ცხოვრების გზას მთელი არსებით უნდა მიენდო, შრომა და ერთგულება არ უნდა დააკლო. ასეც მოიქცა თბილისელი ჭაბუკი მიხეილ შიშოვი.

ახალგაზრდა მოჭადრაკე 20-ანი წლების მიწურულიდან აქტიურად მონაწილეობს ტურნირებში, მეცადინეობს პირველი ქართველი ოსტატის ვ. გოგლიძის წრეში და, რა თქმა უნდა, ბევრს კითხულობს, აანალიზებს კორიფეთა პარტიებს. მაგრამ სპორტული კარიერის დასაწყისში იგი ვერ ახერხებს თვალსაჩინო წარმატებების მოპოვებას, ვინაიდან სწავლას ჯერ სკოლაში, მერე რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტში ბევრი დრო სჭირდება.

უკვე საკმაოდ გამოცდილი მიხეილ შიშოვი 40-ან წლებში საქართველოს მოჭადრაკეთა ერთ-ერთი ლიდერი ხდება. 1944 წელს მან საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა და ეს ტიტული კიდევ ოთხჯერ დაისაკუთრა.

1951 წელს შიშოვს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. იგი საქართველოს სახელით მონაწილეობს სხვადასხვა დიდ ტურნირში — „ლოკომოტივის" საკავშირო პირველობაში (ამ შეჯიბრების ჩემპიონიც იყო), სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალებში, სსრ კავშირის გუნდურ პირველობებსა და ხალხთა სპარტაკიადებში...

დიდი გამოცდილება, ცოდნა და კეთილი გული მიხეილ შიშოვმა საბოლოოდ მწვრთნელის შრომას მოახმარა. მან დიდი ჭადრაკისკენ გზა მისცა პირველ ქართველ საერთაშორისო დიდოსტატს ბ. გურგენიძეს, თითქმის ათ წელიწადს მუშაობდა ნონა გაფრინდაშვილთან. ამ ხნის მანძილზე ჭადრაკის დედოფალმა ბევრი საგულისხმო წარმატება იზეიმა: გახდა სპორტის ოსტატი, პრეტენდენტი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონი... შიშოვის მოწაფეები ყოფილან საქართველოს ჩემპიონები ოსტატი ც. კობაიძე, ც. კახაბრიშვილი და ბევრი სხვა.

დაუღალავი შრომისთვის, პირველ ყოვლისა, ნონა გაფრინდაშვილის უდიდესი მიღწევებისთვის, 1962 წელს მ. შიშოვს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

ღვაწლმოსილი მწვრთნელი დღესაც განაგრძობს ახალგაზრდა მოჭადრაკეების აღზრდასა და წვრთნას თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლაში და რკინიგზელთა სახლში.

მოჭადრაკე და მწვრთნელი მ. შიშოვი მუდამ აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, როგორც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, „ლოკომოტივის" ინსტრუქტორი ჭადრაკში.

მ. შიშოვს კალამიც უჭრის. იგი თანამშრომლობს „ლელოსა" და სხვა გაზეთების რედაქციებში. 1962 წელს მან გამოსცა წიგნი „დიდი ბრძოლა პატარა აგარაკზე", მიძღვნილი პრეტენდენტთა 1961 წლის ტურნირისადმი, რომელშიც ნ. გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა.

და აი, დღეს მიხეილ შიშოვს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. ვუსურვებთ მას შემდგომ მხნეობას, აღზრდილთა წარმატებებს და გამარჯვებათა სიხარულს მომავალ ტურნირებში.

თ. გიორგაძე.

# მათ ვეტერანები უნდა შეცვალონ

თბილისის ფალავანთა კლუბში ჩატარდა რესპუბლიკის უძლიერეს ათლეტთა ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 100-მდე სპორტსმენი, მათ შორის, 25 სპორტის ოსტატი და 13 სპორტის ოსტატობის კანდიდატი. სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, მახარაძის, თერჯოლისა და ბათუმის წარმომადგენლები, აგრეთვე, ნალჩიკიდან ჩამოსული სტუმრები. ასპარეზობაში მონაწილეობას გაურკვეველი მიზეზებით აარიდეს თავი სოხუმის, ჭიათურისა და, ასე გასინჯეთ, რუსთავის წარმომადგენლებმა (ეს ქალაქი ხომ აქვეა, ყურის ძირში). ქების ღირსია თერჯოლის რაიონი, რომელმაც მონაწილეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი გამოგზავნა.

საპრიზო ადგილები უმთავრესად თბილისისა და ქუთაისის მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს. უმძიმეს წონაში II საპრიზო ადგილი წილად ხვდა ჩვენს სტუმარს, ნალჩიკელ დობოევს.

განვლილი ასპარეზობის მთავარი ღირსება ის არის, რომ ახალგაზრდებმა კარგი საბრძოლო და ტექნიკური თვისებები გამოავლინეს. მათგან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ დინამოელები ლეჟავა, ჯოხაძე, ბაბუხადია და სვანიძე, „ბურევესტნიკის" წარმომადგენლები გოგნაძე და მამფორია, არმიელი მაისურაძე და სხვ. ამ სპორტსმენებმა ახლო მომავალში ჩვენი ვეტერანები უნდა შეცვალონ და ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ.

ტურნირმა გამოავლინა ზოგიერთი ნაკლოვანებაც. მაგალითად, საყვედურის ღირსი არიან სპორტსაზოგადოებები, რომლებსაც კლასიკურ ჭიდაობაში რამდენიმე მწვრთნელი ჰყავთ, შეჯიბრებებში კი იშვიათად გამოდიან.

ტ. ფილიშვილი,
სპორტის ოსტატი.

• • •

გაგაცნობთ ტურნირის პრიზიორებს (მოჭიდავეები, რომელთა გვარის გასწვრივ ქალაქი მითითებული არ არის, თბილისელები არიან).

**48 კგ.** 1. ა. ჩალაური („ბურევესტნიკი"), 2. ლ. დობოევი (ნალჩიკი), 3. გ. სეფისკვერაძე („დინამო").

**52 კგ.** 1. მ. გიგოლაშვილი („სპარტაკი"), 2. თ. მელაძე („დინამო", ქუთაისი), 3. დ. ახტიანი („სპარტაკი").

**57 კგ.** 1. გ. ჯოხაძე („დინამო", ქუთაისი), 2. რ. ლამბაროვი (ქუთაისი), 3. გ. ნატრიაშვილი („სპარტაკი").

**62 კგ.** 1. ნ. სალნიკოვი („განთიადი"), 2. თ. ბაბუხადია („დინამო", ქუთაისი), 3. ნ. თათარაძე („ლოკომოტივი", თერჯოლა).

**68 კგ.** 1. ს. გოგნაძე („ბურევესტნიკი"), 2. ო. ტატიშვილი („განთიადი"), 3. თ. ლეჟავა („დინამო").

**74 კგ.** 1. თ. სირბილაძე („განთიადი"), 2. მ. მაისურაძე (ასკ), 3. ვ. წიქარიშვილი („სპარტაკი").

**82 კგ.** 1. გ. ჭელიძე, 2. გ. მამფორია (ორივე — „ბურევესტნიკი"), 3. ი. სვანიძე („დინამო", ქუთაისი).

**90 კგ.** 1. თ. მაჭავარიანი („განთიადი"), 2. ე. გოგლიჩიძე („დინამო", ქუთაისი), 3. ვ. მამისაშვილი („ბურევესტნიკი").

**მძიმე.** 1. ე. ლუდუშაური (ქუთაისი), 2. შ. მორჩილაძე („ბურევესტნიკი"), 3. ნ. მირაქოვი („შრომითი რეზერვები").

# ყოველი მხრიდან

## პისტოლეტი ფუნჯის მაგიერ

ცნობილია, რომ დასავლეთში მხატვრების როლს ზოგჯერ ასრულებდნენ მაიმუნები, ძროხები, ვირიც კი, რომელიც ტილოზე საკუთარი კუდით ქმნიდა „შედევრებს". ამ „მხატვრების" შემოქმედება დიდი წარმატებით სარგებლობდა სნობებს შორის.

მაგრამ ერთ-ერთი ამერიკული სალონის მეპატრონემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს დაწესებულება ტრადიციული „ვესტერნის" სტილშია გაფორმებული: შენობის შესასვლელთან მუსტანგები არიან მიბმული. მიმტანები კოვბოურ ტანსაცმელში გამოწყობილან, კედლები მოხატულია კოვბოებისა და ინდიელების გამოსახულებებით. სცენარის თანახმად, ორი კლიენტი ყასიდად წაეკიდება ერთმანეთს. გეგონება, ხაცაა სროლა ატყდებაო. ამ დროს ხარბიელზე გამოდის ხანში შესული მამაკაცი. იგი ერთ-ერთი მუსტანგის პატრონს სთხოვს ნებართვას, რომ მისი შესანიშნავი პირუტყვი ამ დაწესებულების კედელზე აღბეჭდოს. ის ეთანხმება. ხანში შესულ კაცს დარბაზში შეჰყავს მუსტანგი, ორ პისტოლეტს ამოიღებს და, თითქოს ნატურიდან ხატავსო, კედელს ცხრილავს. მალე კედელზე ცხენის გამოსახულება ჩნდება.

ასე შოულობს პურის ფულს ამერიკის შეერთებული შტატების ექს-ჩემპიონი პისტოლეტით სროლაში ლიუ ევანსი. პისტოლეტი ფუნჯის მაგიერ ჭეშმარიტად ამერიკული ყაიდის სიახლეა ხელოვნებაში. თან ეს გზა საკმაოდ სარფიანიცაა, ოღონდ არა ევანსისთვის, არამედ ზემოხსენებული დაწესებულების მეპატრონისთვის.

## ლუკმაპურისთვის...

ბრიტანეთის საფეხბურთო ლიგასა და სატელევიზიო კომპანიებს შორის მწიფდება კონფლიქტი, რაც შეიძლება დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის საბოლოო გაწყვეტით დამთავრდეს.

როგორც ლიგის ბეჭდვითი ორგანო იუწყება, იმ ამბავში, რომ საფეხბურთო მატჩების შემოსავალმა მკვეთრად იკლო, მთლიანად ტელევიზიაა დამნაშავე. ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ყოველ 100 გულშემატკივრიდან მხოლოდ 28 თუ ესწრება ხანდახან მატჩებს. დანარჩენები ფეხბურთელთა შეხვედრებს ცისფერ ეკრანზე ადევნებენ თვალს. გამოიანგარიშეს ისიც, რომ იმავე 100 კაციდან სულ 10 კაცი დაესწრო ათ მატჩს.

აი, რატომ გადაწყვიტა ლიგამ მკაცრი კონტროლი დააწესოს „ტელექურდებზე" და განსაზღვროს სტადიონებიდან გადაცემების რიცხვი, თუ ლიგა დანაკარგის ანაზღაურებას ვერ მიიღებს. ფიქრობენ იმასაც, რომ გაზარდონ საიჯარო გადასახადი მატჩების ტრანსლაციისთვის როგორც სტადიონებიდან, ისე ჩანაწერებით.

როგორ მორიგდნენ მოდავენი ან მორიგდებიან თუ არა საერთოდ, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

## შეწყალებას იმსახურებენ

ეს საინტერესო სპექტაკლი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ გაიმართა. ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, საკურორტო ქალაქ ჩეზენატიკოში მოეწყო იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების საჩვენებელი გასამართლება. ბრალდებულნი აღმოჩნდნენ ნაკრების მწვრთნელი ვალკარეჯი და ჟურნალისტი ბრერა. ამ უკანასკნელს ბრალად სდებენ, რომ იგი გუნდის შემადგენლობიდან სახელგანთქმული რივერას გარიცხვის მოთავე იყო.

მოსამართლეებად სპორტული მიმომხილველები იყვნენ მოწვეული, მოწმეებად გამოდიოდნენ ისევე ჟურნალისტები, აგრეთვე, ფედერაციის ხელმძღვანელები, გამოჩენილი სპეციალისტები და იტალიური ფეხბურთის ვეტერანები. ბრალმდებელი იყო ავტორიტეტული მწვრთნელი როკო, ვექილის როლს მისი არანაკლებ ცნობილი კოლეგა ფონი ასრულებდა.

როკო ვალკარეჯის ბრალს სდებდა იმაში, რომ ამ უკანასკნელმა ფინალში უარი თქვა „კატენაჩოს" სისტემაზე და ბრაზილიელების დამარცხებას ცდილობდა მათთვის კარგად ნაცნობი „ღია თამაშით". ამით ვალკარეჯიმ აპენინების ფეხბურთის ძირითად პრინციპებს უღალატა. ამას გარდა, ვალკარეჯის ბრალად ედებოდა, რომ მან ბრერას თანამონაწილეობით რივერას თითქმის მთელი ჩემპიონატი სათადარიგოთა მერხზე გაატარებინა, რითაც გუნდს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა.

სასამართლომ ყველა ბრალდებული დამნაშავედ მიიჩნია, მაგრამ აღნიშნა, რომ ისინი შეწყალებას იმსახურებენ: ასე იყო თუ ისე, იტალიის ფეხბურთელებმა ხომ ვერცხლის მედლები მიიღეს. მაგრამ ვალკარეჯის მაინც არ აპატიეს ის ამბავი, რომ მან „კატენაჩოს" უღალატა და ამით იტალიელებს „დააკარგვინა"... მსოფლიო ჩემპიონობა.

## ლამები გზაზე

პოპულარულიველორბოლის „ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორთა წყალობით ამგვარი შეჯიბრებების გამართვა სხვა ქვეყნებშიც დაიწყეს. ამ ტურნირების უმეტესობის სპორტული ღირებულება, როგორც წესი, უმნიშვნელოა. აქ მთავარია რეკლამისა და ცრუ პრესტიჟის საკითხი.

სხვა სახელმწიფოებს არც პატარა გვატემალა ჩამორჩა. აი, რას გვიამბობს ამ ქვეყანაში გამართული ველორბოლის შესახებ ესპანელი ალბეიდა, რომელსაც ბევრჯერ უასპარეზია სხვადასხვა სახელმწიფოში.

— რბოლის მარშრუტი ისეთ გზებზე გადიოდა, სადაც ზოგჯერ ველოსიპედი კი არა, ტანკი ვერ გააღწევს. ერთ-ერთ ეტაპზე მრბოლელებს დიდი დრო დასჭირდათ, რათა ცხვრის ფარაში გაეკაფათ გზა. მეორე ეტაპზე ლამები გადაგვეღობნენ. გზებზე ხიდები არ იყო და იძულებული ვხდებოდით კისრამდე წყალში გაგვეტოპა. მთიან ეტაპებზე სტარტის წინ საგანგებოდ გვაფრთხილებდნენ, ნადირის თავდასხმაა მოსალოდნელიო. სამედიცინო დახმარებას არავინ გვიწევდა.

ერთი სიტყვით, ალბეიდამ რბოლა ვერ დაამთავრა. იგი ისე დაიმტვრა, რომ იძულებული გახდა სარბიელი მიეტოვებინა. უიღბლო ესპანელმა ჩალის ფასად გაყიდა თავისი მანქანა, რათა ავტობუსის ბილეთისა და სახარჯო ფული ეშოვა.

შინ დაბრუნებული ალბეიდა ისე გამოიყურებოდა, თითქოს რამდენიმე უმძიმესი ბრძოლა ჩაატარა რინგზე.

# ჭადრაკის დაფებთან

მაიდანპეკში (იუგოსლავია) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც დიდოსტატი ბარცაი (უნგრეთი), 10 იუგოსლაველი ოსტატი და მოჭადრაკე ქალი ტუკი (ჰოლანდია) მონაწილეობდნენ. I ადგილი დაიკავა ბარცაიმ — 9,5 ქულა, II — მახოვიჩმა — 8, III — ვეტერანმა პუცმა — 7,5. მოჭადრაკე ქალმა 4,5 ქულა მოაგროვა და ოთხ ოსტატს გაუსწრო.

• • •

ვრბასში (იუგოსლავია) მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპის ცნობილი მოჭადრაკეები და არგენტინელი კვინტეროსი მონაწილეობენ.

დამთავრდა ტურნირის პირველი ნახევარი. 8 ტურის შემდეგ ლიდერობენ დიდოსტატი პარმა (იუგოსლავია), ოსტატები ფლეში (უნგრეთი), კვინტეროსი და დეჟე (იუგოსლავია) — 6,5-6,5 ქულა. დიდოსტატ იანოშევიჩს (იუგოსლავია) 6 ქულა აქვს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტურნირში მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონი უსინათლო მოჭადრაკეთა შორის, იუგოსლაველი ჩაბარკაპა. მას 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

## ახალი „რეკორდები"

**KORANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS**

ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ჯ. ჰეინსმა, რომლის კლუბი „ფულჰემი" II ლიგაში გადავიდა, სხვადასხვა მაცდუნებელი წინადადების მიუხედავად, გადაწყვიტა არ მიეტოვებინა თავისი გუნდი. „ფულჰემის" ხელმძღვანელობა უაღრესად მადლიერი დარჩა და ჰეინსს ყოველკვირეულად სარეკორდო თანხა დაუნიშნა — 100 გირვანქა სტერლინგი!

ეს „რეკორდი" მოხსნა „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელმაც თავის ვარსკვლავს, უაღრესად ჭირვეულ დ. ლოუს დაუნიშნა 200 გირვანქა სტერლინგი ყოველკვირეულად, რათა საბოლოოდ მოეგვარებინა მასთან ურთიერთობა.

ამ სეზონში ინგლისის ერთ-ერთმა უძველესმა კლუბმა „კრისტალ პალასმა", რომელიც ახლა პირველიდან II ლიგაში გადავიდა და ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს უკან გადმოვიდეს, უკვე ხუთ წამყვან მოთამაშეს მისცა დიდი გასამრჯელო — 300-300 გირვანქა სტერლინგი კვირაში.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ტურნირი.

**19 ნოემბერი**

საქართველოს ჩემპიონატის I ნაკრები — „ბ" კლასის გუნდების I ნაკრები
დასაწყისი 14 ს.

„დინამო" (სათადარიგო შემადგენლობა) — „იმედის" ნაკრები
დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04496